ცნობა

გიორგი ლონგინოზის ძე არსენიშვილი დაბადებული 1942 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ხირსაში. უმაღლესი განათლებით. 1966 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი მათემატიკის სპეციალობით, 1970 წელს - კიევის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ მუშაკად, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის უფროს მასწავლებლად. იყო ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის დოცენტი, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. 1973-1974 წლებში სტაჟირება გაიარა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. 1978 წელს არჩეულ იქნა კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად, 1982 წლიდან მათემატიკური მეთოდების გამოყენების კათედრის გამგეა. 1993 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. უნივერსიტეტში მუშაობისას კითხულობდა სხვადასხვა სალექციო კურსებს: ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, მასობრივი მომსახურების თეორია, მათემატიკური მეთოდების გამოყენება ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო დარგებში, მათემატიკური მეთოდების გამოყენება ეკონომიკურ გეოგრაფიაში, ეკონომეტრიკა.

გამოქვეყნებული აქვს 52 სამეცნიერო ნაშრომი, არის კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

1995 წელს დაინიშნა სახელმწიფო რწმუნებულად კახეთის რეგიონში.

ფლობს გერმანულ, რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

კადრების სამსახურის
უფროსი ლ. ლაბაური

10.05.00

12571